

შპს „როტო პრინტი“ (ს.კ. 405171077)

განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის ფინანსური ანგარიშგების შესახებ

1. ზოგადი ინფორმაცია

- 1.1. შპს „როტო პრინტი“ (შემდგომში საზოგადოება) დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2016 წლის 13 ოქტომბერს, საიდენტიფიკაციო ნომრით 405171077.
- 1.2. საზოგადოების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:
-როტოგრაფიული ბეჭდვა ეტიკეტებისა და შესაფუთი მასალების, ბეჭდვასთან დაკავშირებული მასალების შეძენა-რეალიზაცია, პოლიეთილენის პარკების წარმოება, ბეჭდვა-ლამინირება.
- 1.3. საზოგადოება არის მესამე კატეგორიის საწარმო.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა:

- 2.1. საზოგადოების მიერ 2024 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მსს ფასს-ის შესაბამისად მეშვიდედ ხდება.
- 2.2. საზოგადოების საოპერაციო და საანგარიშო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი;
- 2.3. მსს ფასს-ის 35-ე განყოფილების თანახმად 2015 წელს გამოცემული დოკუმენტის - „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესწორებები (მსს ფასს) - შედეგად ცვლილებები შევიდა მსს ფასს-ის რიგ მუხლებში, რომელთა შესრულება სავალდებულოა 2017 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის;
- 2.4. სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც საზოგადოება იყენებს მსს ფასს-ზე გადასვლის შემდეგ, საზოგადოების პირობებში არსებითად არ განსხვავდება იმ სააღრიცხვო პოლიტიკისაგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდებში. აღნიშნულის გათვალისწინებით ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენების და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირების აუცილებლობა არ წარმოქმნილა;
- 2.5. ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების მიერ საზოგადოების ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის შედეგების ტენდენციების გაანალიზების მიზნით, შესადარისობის პრინციპიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ფინანსური ანგარიშგების უწყისებში შეგვეტანა წინა საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ინფორმაცია, რომელსაც საწარმოთა საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით არსებითი გავლენა არ მოუხდენია ფინანსური ანგარიშგების ფინანსურ და არაფინანსურ მუხლებში შესატან ინფორმაციაზე და შესაბამისად მოგება-ზარალსა და კაპიტალზე;

- 2.6. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის - 31 დეკემბერს არსებული კურსით;
- 2.7. სასაქონლო მატერიალური ფასეულობის აღიარება ხდება თვითღირებულების მეთოდით. თვითღირებულების ჩამოწერა ხდება საშუალო შეწონილი მეთოდით;
- 2.8. საზოგადოება იყენებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის თვითღირებულების მოდელს; თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვთა შესწორდება პერსპექტიულად;
- 2.9. არამატერიალური აქტივი არის კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა;
- 2.10. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში;
- 2.11. მიწოდებიდან და მომსახურებიდან მოთხოვნების დარიცხვა ხდება ოპერაციის მოხდენისთანავე - დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება; შემოსავლის აღრიცხვა ხდება მაშინ, როცა ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სათანადოდ შეფასება;
- 2.12. სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით აღიარებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში არსებული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით; საკურსო სხვაობით მიღებული შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავლებში ან სხვა ხარჯებში.
- 2.13. ხელფასის დარიცხვა ხდება ბრძანებისა და შრომითი ხელშეკრულების მიხედვით. თანამშრომელს უკავდება საშემოსავლო და საპენსიო გადასახადი. დარჩენილი თანხა გადასახადების გადახდის შემდეგ გადაერიცხება თანამშრომელს;
- 2.14. ბანკის სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი აღიარდება საბანკო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ცხრილის მიხედვით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული

დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება ზარალში, როდესაც გაწეული იქნა;

- 2.15. შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით. საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვა წარმოებს საგადასახადო ანგარიშგებაში ასახული გადასახადის ოდენობით (შესაბამის დეკლარაციაში ასახული თანხით);
- 2.16. საზოგადოების საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე. პარტნიორს შეუძლია გაზარდოს საზოგადოების კაპიტალის ოდენობა დამატებითი შენატანებით და საზოგადოებაში ახალი პარტნიორის მიღებით. შენატანი საზოგადოების კაპიტალში შეიძლება წარმოდგენილი იქნეს როგორც ფულადი, ისე სხვა მატერიალური და არამატერიალური ქონების სახით;
- 2.17. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მოიცავს:

-ბალანსს (შენიშვნებით);

-ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას;

-საქმიანობის შედეგების შესახებ ანგარიშგებას;

დირექტორი:



ფინანსური მენეჯერი:



შპს „როტო პრინტი“ (ს.კ. 405171077)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2024

აქტივები	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
მიწა		135000	135000	135000
ძირითადი საშუალებები		1046008	1274469	1434201
არამატერიალური აქტივები		2470	3088	3860
სულ გრძელვადიანი აქტივები		1183478	1412557	1573061
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		1305956	1054520	1120324
სავაჭრო და დებიტორული დავალიანება		824236	1115850	471595
გადახდილი ავანსები		357097	38282	178496
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები		263865	53210	351938
სულ მიმდინარე აქტივები		2751154	2261862	2122353
სულ აქტივები		3934632	3674419	3695414
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება		14960	12329	0
სავაჭრო და სახელფასო ვალდებულებები		4409	1877	11983
საგადასახადო ვალდებულებები		64592	85046	0
სასესხო ვალდებულებები		491465	772208	1288399
სხვა ვალდებულებები		0	28059	7500
სულ მიმდინარე ვალდებულებები		575426	899519	1307882
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება		3359206	2774900	2387532
სულ კაპიტალი		3359206	2774900	2387532
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		3934632	3674419	3695414

დირექტორი:



ფინანსური მენეჯერი:



შპს „როტო პრინტი“ (ს.კ. 405171077)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

	შენიშვნა	2024	2023	2022
დასახელება				
შემოსავალი				
შემოსავალირეალი რეალიზაციიდან		6314875	3 844 688.00	5538552
ბანკიდან სესხის მიღება		740068	404380	1337396
სულ შემოსავალი		7054943	4249068	6875948
გასავალი				
გადახდილი ხელფასები		696791	606514	599218
გადახდილი დივიდენდები		1150000	650000	750000
გადახდილი გადასახადები		1386097	879672	1229561
სესხის გადახდა (ბანკი)		1026005	892278	869666
გადახდილი პროცენტი		60479	52850	42648
ბანკის მომსახურების ხარჯი		7162	4003	11983
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები და სხვა ხარჯები		2517754	1462479	3293135
საწესდებო კაპიტალის შემცირება				0
სულ გასავალი		6844288	4547796	6796211
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში		53210	351938	272201
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს		263865	53210	351938
		263865	53210	351938

დირექტორი:



ფინანსური მენეჯერი:



შპს „როტო პრინტი“ (ს.კ. 405171077)

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის სრული შემოსავლის და
გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

შემოსავალი	შენიშვნა	2024 წელი	2023 წელი	2022 წელი
		თანხა	თანხა	თანხა
შემოსავალი რეალიზაციიდან		5104521	3843170	4308305
არასაოპერაციო შემოსავალი		128 255.00	94 873.00	0
სულ შემოსავალი		5232776	3938043	4308305
ხარჯები				
გაყიდული/შეძენილი საქონელი		1 663 920.00	1 253 158.00	1849521
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯი		22 778.00	19 558.00	20791
შრომის ანაზღაურება		883 026.00	777 011.00	792298
საპენსიო ხარჯი		9 139.00	9 849.00	10598
იჯარა		82 133.00	57 399.00	50828
საოფისე ინვენტარი		0	0	0
კომუნიკაციის ხარჯები		726	1268	1540
რემონტი		2062	6595	3579
საკონსულტაციო ხარჯები		0	0	0
სამეურნეო ხარჯი		5 924.00	2 492.00	8976
ცვეთა და ამორტიზაცია		259 828.00	298 729.00	180564
სხვა საგადასახადო ხარჯი		11 679.00	13 567.00	10841
საკანცელარიო ხარჯი		374	634	2104
სხვა საოპერაციო ხარჯი		0.00	77569	0
დაზღვევა		4604	8662	8458
სხვა საერთო ხარჯი		49656	29847	22493
საპროცენტო ხარჯები		60479	52850	42649
ბანკის საკომისიო		7179	4013	11983
მივლინების ხარჯი		0	1174	
არასაოპერაციო ზარალი		146412	121637	18224
კომუნალური ხარჯი		14403	11487	12538
სულ ხარჯი		3 224 322.00	2747499	3047985
მოგება		2008454	1190544	1260320
მოგების გადასახადი		213622	120743	139319
მოგება		1794832	1069801	1121001
მოგების განაწილება მესაკუთრეებზე (მ.შ. დივიდენდი)		1210526	684210	789474
დარჩენილი მოგება		584306	385591	331527

დირექტორი:

ფინანსური მენეჯერი:

შპს „როტო პრინტი“ (ს.კ. 405171077)

შენიშვნა 1- ფიქსირებული აქტივები

2024 წელი

ბალანსი 31.12.2024	1183478
მიწის ნაკვეთები	135000
მანქანა დანადგარები	617649
სატრანსპორტო საშუალებები	19614
ავეჯი	2434
არამატერიალური აქტივები	2470
როტოგრაფიული ცილინდრები	310987
სხვა ძირითადი საშუალებები	95324


2023 წელი

ბალანსი 31.12.2023	1412557
მიწის ნაკვეთები	135000
მანქანა დანადგარები	772061
სატრანსპორტო საშუალებები	24517
ავეჯი	3042
არამატერიალური აქტივები	3088
როტოგრაფიული ცილინდრები	358882
სხვა ძირითადი საშუალებები	115967

2022 წელი

ბალანსი 31.12.2022	1573061
მიწის ნაკვეთები	135000
მანქანა დანადგარები	943158
სატრანსპორტო საშუალებები	19759
ავეჯი	3803
არამატერიალური აქტივები	3860
როტოგრაფიული ცილინდრები	339022
სხვა ძირითადი საშუალებები	128459

დირექტორი:



ფინანსური მენეჯერი:



შპს „როტო პრინტი“ (ს.კ. 405171077)

შენიშვნა 2- სასაქონლო მატერიალური მარაგები

2024 წელი

ბალანსი 31.12.2024	1305956
საღებავები, ფირები, სპირტი და გამხსნელები, ეტიკეტები- მზა პროდუქცია	1305956

2023 წელი

ბალანსი 31.12.2023	1054520
საღებავები, ფირები, სპირტი და გამხსნელები, ეტიკეტები- მზა პროდუქცია	1054520

2022 წელი

ბალანსი 31.12.2022	1120324
საღებავები, ფირები, სპირტი და გამხსნელები, ეტიკეტები- მზა პროდუქცია	1120324

დირექტორი:



ფინანსური მენეჯერი:



შპს „როტო პრინტი“ (ს.კ. 405171077)

შენიშვნა 3- სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება;
გადახდილი ავანსები


დასახელება	31.12.2024
მოთხოვნები რეალიზაციიდან და მომსახურებიდან	824236
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	824236

დასახელება	31.12.2023
მოთხოვნები რეალიზაციიდან და მომსახურებიდან	1115850
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	1115850

დასახელება	31.12.2022
მოთხოვნები რეალიზაციიდან და მომსახურებიდან	471595
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	471595

დირექტორი:

ფინანსური მენეჯერი:



შპს „როტო პრინტი“ (ს.კ. 405171077)

შენიშვნა 4-ფული და ფულადი ექვივალენტები

დასახელება	31.12.2024
საღარი	0
ბანკი	263865
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	263865

დასახელება	31.12.2023
საღარი	0
ბანკი	53210
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	53210

დასახელება	31.12.2022
საღარი	0
ბანკი	351938
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	351938

დირექტორი:



ფინანსური მენეჯერი:



შპს „როტო პრინტი“ (ს.კ. 405171077)

შენიშვნა 5-სავაჭრო და სახელფასო ვალდებულებები

დასახელება	31.12.2024
სავაჭრო და სახელფასო ვალდებულებები	4409
	0
	0
ჯამი	4409

დასახელება	31.12.2023
სავაჭრო და სახელფასო ვალდებულებები	14206
	0
	0
ჯამი	14206

დასახელება	31.12.2022
სავაჭრო და სახელფასო ვალდებულებები	19483
	0
	0
ჯამი	19483

დირექტორი:



ფინანსური მენეჯერი:



შპს „როტო პრინტი“ (ს.კ. 405171077)

შენიშვნა 6-საგადასახადო ვალდებულებები

დასახელება	31.12.2024
საგადასახადო ვალდებულება	64592
სულ საგადასახადო ვალდებულებები	64592

დასახელება	31.12.2023
საგადასახადო ვალდებულება	85046
სულ საგადასახადო ვალდებულებები	85046

დასახელება	31.12.2022
საგადასახადო ვალდებულება	0
სულ საგადასახადო ვალდებულებები	0

დირექტორი:



ფინანსური მენეჯერი:



შპს „როტო პრინტი“ (ს.კ. 405171077)

შენიშვნა 7-სასესხო ვალდებულებები

დასახელება	31.12.2024
სესხი პროკრედიტბანკიდან	489914
სულ სასესხო ვალდებულებები	489914

დასახელება	31.12.2023
სესხი პროკრედიტბანკიდან	772208
სულ სასესხო ვალდებულებები	772208

დასახელება	31.12.2022
სესხი პროკრედიტბანკიდან	1288399
სულ სასესხო ვალდებულებები	1288399

დირექტორი:



ფინანსური მენეჯერი:



შენიშვნა 8-კაპიტალი

დასახელება	გაუნაწი- ლებელი მოგება	საწესდებო კაპიტალი	ჯამურად
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2774900	0	2774900
საანგარიშო პერიოდის მოგება (2024 წელი)	2008454	0	2008454
კაპიტალის შემცირება, დივიდენდის გაცემა	-1424148	0	-1424148
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3359206	0	3359206

დასახელება	გაუნაწი- ლებელი მოგება	საწესდებო კაპიტალი	ჯამურად
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2387532	0	2387532
საანგარიშო პერიოდის მოგება	1192321	0	1192321
კაპიტალის შემცირება, დივიდენდის გაცემა	-804953	0	-804953
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2774900	0	2774900

დასახელება	გაუნაწი- ლებელი მოგება	საწესდებო კაპიტალი	ჯამურად
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2056004	0	2056004
საანგარიშო პერიოდის მოგება	1260320	0	1260320
კაპიტალის შემცირება, დივიდენდის გაცემა	-928792	0	-928792
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2387532	0	2387532

დირექტორი:



ფინანსური მენეჯერი:



geo.rotoprint@gmail.com

555426373

0168

ქ. თბილისი, ჭიჭინაძის შესახვევი N1